ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4444800

ნომერი: AR1671130

თარიღი : 27.03.2019

გაცემის თარიღი : 08.04.2019

გაცნობის თარიღი : 08.04.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწ. საცდელი მეურნეობა ; ქალაქი თბილისი , ზურგოვანის ტერიტორია ; ქალაქი თბილისი , სოფელი ზურგოვანი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ივანე მირცხულავა პ/ნ 01024058204
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ IV მ/რ კორ. 18 ბ. 133

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს AR1671130 (27/03/2019) განცხადებით მომართა ივანე მირცხულავამ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №438 (22.05.2008) ბრძანებით დამტკიცებულ ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების განხორციელება, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის ცვლილებასთან დაკავშირებით. სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №438 (22.05.2008) ბრძანებით ქ. თბილისში, ზურგოვანის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე, (საკადასტრო კოდი: #01.72.14.014.370 (1740 კვ.მ)) დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მომზადდა ქალაქმშენებლობითი პირობები.
№3160429 (03/04/2017) ბრძანებით შევიდა ცვლილება №438 (22.05.2008) ბრძანებით დადგენილ

ქალაქმშენებლობითი პირობებში, კერძოდ: „ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 22 მაისის #438 ქალაქმშენებლობით პირობებს დაემატოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმები. საკადასტრო კოდი №01.72.14.014.173, ფართობით: 801 კვ.მ, №01.72.14.014.187, ფართობით: 1700 კვ.მ. და №01.72.14.014.370, ფართობით: 1740 კვ.მ“
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორისამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №438 (22.05.2008) ბრძანებით დამტკიცებულ ქალაქმშენებლობითი პირობებში ცვლილების შეტანა.
"მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის2009 წლის 24 მარტის N57-ე დადგენილების დასაქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის63-ე მუხლისშესაბამისად:

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

ვბრძანებ

01. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №438 (22.05.2008) ბრძანებით დამტკიცებულ ქალაქმშენებლობითი პირობებში, კერძოდ:

- საკადასტრო კოდად დაფიქსირდეს 01.72.14.014.798 ფართობი: 4241 კვ.მ.

02. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №438 (22.05.2008) ბრძანებით დამტკიცებულ ქალაქმშენებლობით პირობებთან და №3160429 (03/04/2017) ცვლილებასთან ერთად.
03. ბრძანებაშეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის მერთან(მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩაN7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთითვის ვადაში.

-

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.